# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №2

ქ. ქუთაისი

13 აგვისტო 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კონსტანტინე ქავთარაძე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055), ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) და ლ. მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხრეთ დასავლეთით მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების ფასი 1400 (ერთი ათას ოთხასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1317. 11.08.2014)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013“-მა.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2014 წლის 13 აგვისტოს 12:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013“-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013“-მა მიიღო - 19,4 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრმა: ირაკლი ავალიანმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055), ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) და ლ. მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხრეთ დასავლეთით მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013".

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

ირაკლი გიორგაძე